

შპს „ოქროს კიდეზანი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი	
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ზოგადი ინფორმაცია.....	6
მომზადების საფუძვლები.....	7
სააღრიცხო პოლიტიკა.....	7
მნიშვნელოვანი სააღრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა.....	11
ძირითადი საშუალებები.....	Error! Bookmark not defined.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	Error! Bookmark not defined.
პირობითი ვალდებულებები.....	14
საქმიანობის უწყვეტობა.....	14
ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	15

შპს „ოქროს კიდობანი“
 მოგება-ზარალის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

შენიშვნები		2020	2019
შემოსავალი		1844	2,865
სულ შემოსავლები		1,844	2,865
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,939)	(1,928)
ფინანსური ხარჯი		-	(370)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	6	(1,132)	(330)
სხვა არასავალუტო ხარჯი, წმინდა		(311)	(2)
მიწოდებისა და მომსახურების ხარჯი		-	(1)
საოპერაციო მოგება		(1,538)	234
მოგების გადასახადი		-	(1)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(1,538)	233

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს

 დირექტორი
 მუხრანი ბაგრატიონი

შპს „ოქროს კილობანი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემული ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,574	6,803
აქტივის გამოყენების უფლება		-	-
არამატერიალური აქტივები		2	2
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,576	6,806
მიმდინარე აქტივები			
წინასწარ გაწეული ხარჯები		165	188
ნედლეული და მარაგები		14	26
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	56	51
ფული და ფულის ექვივალენტები	9	42	4
სულ მიმდინარე აქტივები		277	269
სულ აქტივები		6,853	7,074
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,392	2,392
გაუნაწილებელი მოგება		-	233
დაუფარავი ზარალი		(2,119)	(814)
სულ კაპიტალი		273	1,811
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		5,387	4,060
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,387	4,060
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		156	31
მოკლევადიანი სესხები		-	503
მიღებული ავანსები		32	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,005	657
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,193	1,203
სულ ვალდებულებები		6,580	5,264
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,853	7,074

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი
მუხრანი ზაგრატიონი

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ოქროს კიდობანი“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2,392	(814)	1,578
სულ წლის სრული შემოსავალი	-	233	233
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	2,392	(581)	1,811
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,538)	(1,538)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	2,392	(2,119)	273

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს

 დირექტორი
 მუხრანი ბაგრატიონი

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ოქროს კიდობანი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
თანხები მოცემული ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2020	2019
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	2,188	3,663
მიღებული ავანსები	2	2
სხვა შემოსავლები	(9)	4
მოწოდებისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(367)	(392)
გადახდილი ავანსები	(2)	(11)
გადახდილი ხელფასები	(638)	(1,026)
გადახდილი გადასახადები	(493)	(758)
სხვა ფულადი ხარჯები	(1)	(4)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	680	1,478
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	-	-
სესხის გაცემა	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(19)	(29)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(19)	(29)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(301)	(378)
დაფარული სესხები	(444)	(462)
გადახდილი დივიდენდები	-	(636)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(745)	(1,476)
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდში	(84)	(27)
საკუროს სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	122	(2)
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	38	(29)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	4	33
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	42	4

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს

დირექტორი
მუხრანი ბაგრატიონი

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ოქროს კიდობანი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2015 წლის 30 იანვარს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 402009508.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ოქროს კიდობანი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ცაბაძის ქ., №8-ბ.

კომპანიის მეწილეები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: შპს ახალი კიდობანი - 8.95%, თეთრი კიდობანი- 17.05%, თეთრი ქალაქი- 26%, თი ელ ჯი-21%, გიორგი ბაქანიძე- 6%, შპს ნიუ გრუპ- 21%.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შედგებოდა 15 კაცისგან.

წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ცალკეულ ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები კვუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
შენობა ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ელექტროგადამცემის საშუალებები	8%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სპეციალური ინსტრუმენტები	20%
1 000 ლარამდე ღირებულების ძრ. საშუალებები	20%

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება.

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება.

მოგება-ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	1261	1,288
ცვეთა და ამორტიზაცია	272	8
ელექტროენერგია და გაზი	100	33
სხვა საგადასახადო ხარჯები	42	1
საიჯარო ქირა	26	-
საკონსულტაციო ხარჯები	9	5
სოციალური დანარიცხები	6	1
დაზღვევის ხარჯები	6	136
კომუნიკაციის ხარჯები	5	10
წარმომადგენლობითი ხარჯები	3	271
საბანკო ხარჯები	1	2
საკანცელარიო ხარჯები	1	-
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	1	1
საოფისე ინვენტარის ხარჯები	0	3
სხვა საერთო ხარჯები	206	169
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,939	1928

6. ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა

	2020	2019
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(1,409)	(535)
დადებითი საკურსო სხვაობები	277	205
ჯამი	(1,132)	(330)

7. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენობები	ავიჯი და ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	2,534	4,935	43	87	27	7,626
შემენა	-	39	-	3	-	42
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	2,534	4,974	43	90	27	7,668
ცვეთა						
31 დეკემბერი 2019	-	(754)	(12)	(43)	(14)	(823)
დამატება	-	(247)	(4)	(16)	(4)	(271)
შემცირება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(1,001)	(16)	(59)	(18)	(1,094)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	2,534	4,181	31	44	13	6,803
31 დეკემბერი 2020	2,534	3,973	27	31	9	6,574

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვითული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება შეადგენს 9 ათას ლარს

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	54	49
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ	2	2
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56	51

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში	34	1
ნაღდი ფული სალაროში	8	3
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42	4

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	768	627
სავაჭრო ვალდებულებები	237	30
ჯამი	1,005	657

11. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურეგულირებელი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

12. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS

24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები; ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (ც) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია ა ან დ-ში;
- (ფ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, დ ან ე-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (გ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50	56	36	51
-მფლობელები	9		9	
-სხვა დაკავშირებული მხარეები	41		27	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	146	1,005	16	657
-მფლობელები	142		7	
-სხვა დაკავშირებული მხარეები	4		9	
წინასწარ გაწეული ხარჯები	114	165	138	188
-მფლობელები	114		138	

	2020		2019	
	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია
შემოსავალი იჯარიდან	500	1,844	681	2 865
-სხვა დაკავშირებული მხარეები	500		681	
იჯარის ხარჯი	26	26	33	33
-მფლობელები	26		21	
-სხვა დაკავშირებული მხარეები			12	
ელექტროენერგიისა და გაზის ხარჯი	100	136	136	136
-მფლობელები	62		66	
-სხვა დაკავშირებული მხარეები	38		70	
შრომის ანაზღაურება	325	1,261	452	1,288
მფლობელები	325		452	


14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელის მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

შპს „ოქროს კიდობანი“
 მოგება-ზარალის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

შენიშვნები		2020	2019
შემოსავალი		1844	2,865
სულ შემოსავლები		1,844	2,865
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,939)	(1,928)
ფინანსური ხარჯი		-	(370)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	6	(1,132)	(330)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(311)	(2)
მიწოდებისა და მომსახურების ხარჯი		-	(1)
საოპერაციო მოგება		(1,538)	234
მოგების გადასახადი		-	(1)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(1,538)	233


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს


 დირექტორი
 მუხრანი ბაგრატიონი

შპს „ოქროს კიდობანი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემული ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,574	6,803
აქტივის გამოყენების უფლება		-	-
არამატერიალური აქტივები		2	2
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,576	6,806
მიმდინარე აქტივები			
წინასწარ გაწეული ხარჯები		165	188
ნედლეული და მარაგები		14	26
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	56	51
ფული და ფულის ექვივალენტები	9	42	4
სულ მიმდინარე აქტივები		277	269
სულ აქტივები		6,853	7,074
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,392	2,392
გაუნაწილებელი მოგება		-	233
დაუფარავი ზარალი		(2,119)	(814)
სულ კაპიტალი		273	1,811
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		5,387	4,060
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,387	4,060
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		156	31
მოკლევადიანი სესხები		-	503
მიღებული ავანსები		32	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,005	657
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,193	1,203
სულ ვალდებულებები		6,580	5,264
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,853	7,074

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს



დირექტორი
მუხრანი ზაგრატიონი

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ოქროს კიდობანი“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 თანხები მოცემული ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2,392	(814)	1,578
სულ წლის სრული შემოსავალი	-	233	233
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	2,392	(581)	1,811
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,538)	(1,538)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	2,392	(2,119)	273

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს


 დირექტორი
 მუხრანი ბაგრატიონი


6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ოქროს კიდობანი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
თანხები მოცემული ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2020	2019
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	2,188	3,663
მიღებული ავანსები	2	2
სხვა შემოსავლები	(9)	4
მოწოდებისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(367)	(392)
გადახდილი ავანსები	(2)	(11)
გადახდილი ხელფასები	(638)	(1,026)
გადახდილი გადასახადები	(493)	(758)
სხვა ფულადი ხარჯები	(1)	(4)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	680	1,478
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	-	-
სესხის გაცემა	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(19)	(29)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(19)	(29)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(301)	(378)
დაფარული სესხები	(444)	(462)
გადახდილი დივიდენდები	-	(636)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(745)	(1,476)
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდში	(84)	(27)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	122	(2)
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	38	(29)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	4	33
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	42	4

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს


დირექტორი
მუხრან ბაგრატიონი

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს